საქართ. ქმარც. სოც.-ფედ. ხარეშ. პარტია

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახანის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი
1 გვ. 200,000 მან. წინპარეგი
4 „ 150,000
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

№ 495 ხუთშაბათი, ივნისის 14 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

## მეტის დათმობა შეუძლებელია

ინგლისის უკანასკნელ მემორანდუმის საპასუხო ნოტა უკვე გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობამ. უნდა აღინიშნოს, რომ პასუხი მშვიდობიან კილოზეა დაწერილი და შეიცავს იმის აღნუსხვას, რის დათმობაც კი შეუძლია საბჭოთა ფედერაციის მშრომელ ხალხს ინგლისის იმპერიალისტებისათვის.

კერზონის რუსეთის საწინააღმდეგო გუნებაზე დაყენეება საბჭოთა ხელისუფლების მიერ სამღვდელოებისადმი „საძაგლად“ მოპყრობამ გამოიწვია. ასე ფიქრობდა ევროპის კლერიკალური საზოგადოებრივი აზროვნება. პოლიტიკური რომანტიზმით დასნეულებული ბურჟუაზიული წრეები კერზონის გამბედაობას სავაჭრო პირობების დარღვევით და აღმოსავლეთში რევოლიუციონური პროპაგანდის გაძლიერებით ხსნიდა. ინგლისის მთავრობის შემდეგმა ნოტებმა, მოწინააღმდეგე მხარეთა შუა გაგრძელებულ მოლაპარაკებამ სხივი მოჰფინა საქმის შინაარსს და მზის სინათლეზე გამოააშკარავა ინგლისის ბურჟუაზიის დაფარული საიდუმლოება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ მეთაურში გარკვევით აღვნიშნეთ: ბრიტანეთის მოთხოვნილებათა ლეიტ-მატივი იმაში გამოიხატება, რომ საბჭოთა მთავრობამ დაუზიანებლად უნდა დასტოვოს ინგლისის კაპიტალისტების მიერ „კეთილსინიდისიერად“ შეძენილი ქონება რუსეთის ფარგლებში.

ლორდ კერზონი ახლა კატეგორიულად მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან ინგლისის კაპიტალისტების ზარალის ანაზღაურებას რუსეთის მიერ. დივისონისა და გარდინგის „უბედურება“ არღვევს ლორდთა ქვეყნის სულიერ სიმშვიდეს.

ჩიჩერინის საპასუხო ნოტა პირდება ინგლისის კაპიტალის მაგნატებს რუსეთის ტერიტორიის სივრცეზე ეკონომიურ-ფინანსიურად დაზარალებულ ინგლისელ მრეწველთა ინტერესების რეალიზაციას შესაძლებლობის ფარგლებში. ამის იქით დათმობის ხაზის გაგრძელება შეუძლებელი საქმეა. მაგრამ რუსეთის პროლეტარიატი ამ დათმობას მოიყვანს სისრულეში იმ შემთხვევაში, თუ იმპერიალისტური ინგლისი თავის მხრითად არ იტყვის უარს მსხვერპლის გაღებაზე.. რევოლიუციონური მშრომელთა კლასი კერზონისაგან მოითხოვს: **ინგლისის მთავრობამ თავის მხრით უნდა აუნაზღაუროს საბჭოთა ფედერაციას ის ზიანი, კოლოსალი ხასიათის ზარალი. რომელიც არის შედეგი ბრიტანეთის მიერ იმპერიალისტურ ინტერვენციის წარმოების რუსეთის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მიმართ.** ასეთია სამართლიანი მოთხოვნილება, ხაზგასმით აღნიშნული ჩიჩერინის საპასუხო ნოტაში.

საბჭოთა რუსეთი უარს არ აცხადებს სტან გარდინგის და მათი ძმების ზარალის ანაზღაურებაზედ.

ინგლისის ბურჟუაზიაც უნდა წავიდეს ასეთ დათმობაზე საბჭოთა რესპუბლიკების ზარალის რეალიზაციის საკითხში.

საბჭოთა რუსეთის ზარალი გაცილებით აღემატება ინგლისის კაპიტალისტების ზარალს. სამოქალაქო ბრძოლის მსვლელობაში აუარებელი ქონება და სიმდიდრე დაიღუპა, განიავდა. აწიოკდა დაბა-სოფლები, დაზიანდა საკმაოდ ქალაქები.

მართალია, „საშინელებაში“ შესაფერისი როლი ითამაშა სოციალისტურ გარდაქმნის სტიქიამ ძველი საზოგადოებრივი წყობილების ახალ ყაიდაზე აშენება უსათუოდ ჰგულისხმობს ბურჟუაზიულ და პროლეტარულ ძალების დაპირისპირებას. მაგრამ აშკარაა, რომ ამ ძალთა შებრძოლება რუსეთის სახელმწიფოსათვის არ იქნებოდა იმდენად საბედისწერო ეკონომიურად, რომ მოწინააღმდეგე ბანაკთა ჰიდილში ანტანტის იმპერიალისტები არ ჩარეულიყვნენ. საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასის წინააღმდეგ მებრძოლი რეაქციის გენერლები უმთავრესად რეალ დახმარებას ინგლისიდან ღებულობდნენ. ბრიტანეთის ბურჟუაზია ეხმარებოდა ფინანსიურად, მატერიალურად და სხ. ანტისაბჭოებრივ ყველა ძალებს. იმპერიალისტურ ინტერვენციით ინგლისმა გასნადგურა რუსეთის გლეხ-კაცობის და პროლეტარიატის ეკონომიური ძლიერება. თოფ-ზარბაზნებით გაცამტვერებულ რუსეთის ეკონომიურ მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციების აღდგენისათვის პროლეტარიატს დასჭირდა უამრავი ენერგიის დახარჯვა, ვაებითა და ტანჯვით აღდგენა სამეურნეო ცხოვრების მოწესრიგებულ სახეობას.

ინგლისის ბურჟუაზიული მთავრობა გვერდს უვლის საბჭოთა რუსეთის ზარალის შესახებ ლაპარაკს. მოითხოვს კი თავის თამასუქის განაღდებას. ცხადია, კაპიტალისტური დიპლომატია აწყობს ახალ მახინაციებს საბჭოთა რუსეთის მშრომელი ხალხის ომში ჩათრევისათვის.

ჩიჩერინის ნოტა ინგლისს უთმობს იმას, რის დათმობაც არის მიზანშეწონილი თანამედროვე რუსეთის პირობებში. ვიმეორებთ: ამ დათაობის რეალიზაცია ჰგულისხმობს იმპერიალისტურ ანტანტის მეთაურის დათმობის გზაზე შედგომას. საბჭოთა რუსეთის პასუხის დედა-აზრი შეიცავს სწორედ ამ მოთხოვნილების სისრულეში მოყვანას. დაადგება ინგლისის მთავრობა ჩიჩერინის სამართლიან პრეტენზიის მისაღეობის თვალსაზრისზე? ამ კითხვაზე დადებით ან უარყოფით პასუხის გაცემა გადასწყვეტს ზავის გაგრძელბის და ომის დაწყების საკითხს.

საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ხალხი მეტს არ დაუთმობს კაპიტალისტურ მსოფლიოს. დათმობის ხაზი საკმაოდ მიიწურა უკანასკნელ საზღვრისაკენ.

---

## პრესა

მოსკოვის გაზ. „Известя“-ს მე-118 №-ში მოთავსებულია წერილი ტფილისადან იმავე გაზეთის სპეციალი კორესპონდენტის ამხ. **ვ. პოსხესი.** ავტორი, სხვათა შორის, ეხება მილიციის თანამშრომელთა შემადგენლობა—მდგომარეობას დ სწერს:

„ახალი საბჭოთა მილიცია წარმატებით ებრძვის ბანდიტიზმს, მაგრამ ჯერ არ შეუძლია იყოს გამტარებელი კომუნისტურ იდეებისა საქართველოს გლეხთა მასსებში, როგორც ეს სურთ მის ხელმძღვანელებს.

ამის შეუძლებლობას ასურათებს შემდეგი ციფრები: მილიციონერთა რიცხვი, კომშემადგენლობისა და კანცელიარიის თანამშრომელთა აღნუსხვით, საქართველოში უდრის 4.600 კაცს. აქედან კომუნისტია 360 კაცი. ამ რიცხვიდან 155 კაცი შესულია პარტიაში მხოლოდ 1922 წელს. 296 კაცს არ შეუძლია ოქმის შედგენა. 82 კაცი სავსებით გაუნათლებელია, არ იციან არც წერა, არც კითხვა. ყოველივე ეს მილიციის ორჯერ გაწმენდის შემდეგ.

გასამრჯელოს ქართველი მილიციონერები შედარებით უმნიშვნელოს ღებულობენ... უმცროსი მილიციონერი ღებულობს მხოლოდ ექვს მილ. სამას ათას მანეთს. ასეთ ჯამაგირით ცხოვრება,—სხვა შემოსავალის გარეშე,—იგულისხმება,—შეუძლებელია“.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მსჯელობა არ არის საფუძვლებს მოკლებული. როგორც ვიცით, რესპუბლიკის მასშტაბით ძარცვა-გლეჯა, თავდასხმა და ავკაცობა 50 პროც. შემცირებულია. საბჭოთა მილიცია თავგანწირვით იბრძვის და იბრძოლებს კიდეც ბანდიტურ ჯგუფების და ელემენტების წინააღმდეგ. ქართული მილიციის მუშაობის შედეგები უკვე გვაქვს თვალწინ გადაშლილი. ქურდ-ბაცაცობას და ყაჩაღობას თანდათვნ ბოლო ეღება. დაბა-სოფლებსა და ქალაქებში მცხოვრებთათვის იქმნება მშვიდობიანი ცხოვრების პირობები. ყოველივე ეს ხდება ჩვენი ნათელ მილიციის საშუალებით.

მილიციას სჭირდება მეტი ყურადღება, ვინემ ეს არის დღეს. საჭიროა უწინარეს ყოვლისა მილიციელთა რიგებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამ მიმართულებით მუშაობა სწარმოებდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი არ გაკეთებულა. ტფილისის მილიციაზე კიდევ შეიძლება დადებითი ლაპარაკი. სავალალო მდგომარეობაშია ამ მხრით განსაკუთრებით პროვინციის მილიციის შემადგენლობა.

პოლიტ-განათლების თვალსაზრისითაც ვერაა დამაკმაყოფილებელი სურათი გადაშლილი ჩვენს წინაშე. სანამ წერა-კითხვის უცოდინარობა საბოლოოდ არ მოისპობა მილიციელთა წრეებში, ისე შეუძლებელია მსჯელობა მილიციის კომუნისტური იდეების გამტარ საშუალებად გარდაქმნის შესახებ. ამიტომ აუცილებელია მიღებულ იქმნას ენერგიული ზომები მილიციის თანამშრომლების პოლიტ-განათლების და განვითარებისათვის.

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მილიციონერთა ხელფასის რაოდენობის აღნიშნვა. მილიციონერის შრომა ვერაა დაფასებული. თანამედროვე საარაკო სიძვირეში 6—7 მილიონით განა წარმოსადგენია ცხოვრება? მართალია, მილიციელებს ეძლევათ ტანსაცმელ-ფეხსაცმელი და პური, მაგრამ ამით განმ იმის თქმა შეიძლება, რომ მილიციონერი სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფილია? გასულ წელთან შედარებით, მილიცია სურსათ-სანოვაგის გზით უკეთეს მდგომარეობაშია. ეს ფაქტია. მაგრამ ამ ფაქტით მილიციელთა მინიმალი გასამრჯელოს გამართლება ყოვლად შეუძლებელია. სურსათ-სანოვაგით მილიციის სავსებით უზრუნველყოფა თანამედროვე პირობებში ძნელი საქმეა. საჭიროა მილიციონერების ჯამაგირების გადიდება შესაძლებლობის და მიზანშეწონილების ფარგლებში.

მართალია, მილიციონერმა მიიღო, მთელი „ნორმა“. მაგრამ სამსახურში ჩაბმული მილიციონერი ხედავს ამას დიდი სარგებლობა არ მოაქვს,

ვიმეორებთ: სათანადო ორგანოებმა უნდა მოახდინოს მილიციის ნივთიერი და გონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით მუშაობა ბევრ რასმე ახალს გადმოშლის მილიციის თანამშრომელთა ყოფა-ცხოვრებიდან.

---

## ტელეგ-ამბები

### საბჭოთა მთავრობის პასუხი კერზონის განცხადებაზე.

**საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ჩააბარა ინგლისის მთავრობას პასუხი კერზონის უკანასკნელ წინადადებაზე.**

საბჭოთა მთავრობა საპასუხო წინადადებაში აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა რუსეთის პასუხს კერზონის პირველ განცხადებაზე, დევისონის და გარდიგის პირად ხარჯების ანაზღაურების, თევზაობის და ინგლისის ტრალერების საკითხების შესახებ,—დამაკმაყოფილებლად სცნობდა, ასე რომ შეთანხმება რუსეთსა და ინგლისს შორის უფრო ადვილი და შესაძლებელი იქნებოდა მშვიდობიან მოლაპარაკების პირობებში, ვიდრე მკვახე და გადაჭრილ კილოს წინადადებების და განცხადებების საშვალებით.

საბჭოთა მთავრობა თევზაობის საკითხში გადადგმულ ნაბიჯებს სთვლის სრულიად სწორედ და სამართლიანათ რუსეთი არ გამოიჩენს ჯიუტობას სათევზაო პირობის დადების საკითხში და მზათ არის დაკმაყოფილდეს წინადადების უბრალო გაცვლა-გამოცვლით ამ საკითხის შესახებ. საბჭოთა მთავრობა თანახმა არის აგრეთვე გადაიხადოს ის თანხა, რომელსაც მას სთხოვს ინგლისის მთავრობა დევისონის და სტან გარდიგის საქმის შესახებ. რაც შეეხება პროპაგანდის საკითხს, საბჭოთა მთავრობა თანახმა არის მიიღოს ინგლისის მთავრობის მიერ შემუშავებულ პირობის ტექსტი, ურთიერთ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ, მხოლოდ აუცილებლად სთვლის აგრეთვე, რომ პირობაში აშკარათ იქნეს აღნიშნული ის, რომ ინგლისის მთავრობა თავის მხრივ არასოდეს არ დაუჭერს მხარს საბჭოთა რუსეთის და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ მიმართულ მტრულ განზრახვებს და მოქმედებას.

რუსეთის საპასუხო წინადადება აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა სრულებით არ დააკმაყოფილა საბჭოთა რუსეთის დათმობებმა; იმის მაგივრად რომ მასაც დაეთმო ცოტა რამ, ე. ი. უარი ეთქვა ზოგიერთ თავის მოთხოვნებზე,—ის თავის ახალ წინადადებებში ბევრათ უფრო დიდ მოთხოვნებს აყენებს. წინადადება აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობის მოთხოვნა, ინგლისში მყოფ რუსეთის წარმომადგენლების გაწვევის შესახებ, რომლებმაც, ვითომც და დაარღვიეს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების მუხლი პროპაგანდის შესახებ—მეტად ცალმხრივია.

საბჭოთა მთავრობამ უკვე აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ მიმართული ბრძანება აგებულია ან დამახინჯებული ან კიდევ ყალბ საბუთებზე. საბჭოთა მთავრობას აქვს ხელში ისეთი უტყუარი საბუთები, რომლებიც არწმუნებენ მას, რომ ინგლისის მთავრობა ისეთივე საზომით რომ უდგებოდეს თავის წარმომადგენლების და აგენტების მოღვაწეობას (რომლებსაც, მაგალითად, თურქესტანში და კავკასიაში უნდოდათ აჯანყება მოეწყოთ), როგორითაც ის უდგება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს, მაშინ იგი თვით აიღებდა ხელს ცალმხრივ მოთხოვნილებების წამოყენებაზე.

განცხადებაში გაკვრითაა ნათქვამი, რომ ამ საკითხების მოგვარება უნდა მოხდეს კეთილ-მეგობრულად. თუ ამ მოლაპარაკების შემდეგ გამოირკვა, რომ ამა თუ იმ პირების გაწვევა აუცილებელია, საბჭოთა მთავრობა დასთანხმდებოდა ამაზედაც კეთილ ურთიერთობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ინგლისის მოქალაქეთათვის რუსეთის რევოლიუციის მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურების საკითხის გამო, საბჭოთა მთავრობა აღნიშნავს, რომ ინგლისის ზოგიერთ მოქალაქის ზარალი ვერ შეედრება იმ საშინელ უბედურებას, რომელიც თავს დაატყდა საბჭოთა რესპუბლიკების საწინააღმდეგო მოქმედების გამო. „საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთის, სამხრეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის ნაწილებში აუარებელია განადგურებული ოლქები, რომელთა უბედურების ანაზღაურება არა ნაკლებ საჭიროა, ვიდრე ბელგიისა და საფრანგეთის განადგურებულ ოლქებისა“.

საბჭოთა მთავრობა მზათ არის აანაზღაუროს ინგლისელ მოქალაქეთა ზარალი იმ პირობით, თუ ამას თავის მხრივ იკისრებს ინგლისიც რუსეთის მიმართ.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობის აზრით სავაჭრო დამოკიდებულების დარღვევა იქნებოდა არა მარტო ეკონომიური შეცდომა, არამედ პოლიტიკური უბედურებაც, რომლის შედეგები გასცილდებოდენ არა მარტო რუსეთისა და ინგლისის სავაჭრო დამოკიდებულების ფარგლებს. ამის გამო, საბჭოთა მთავრობა მიდის უდიდეს დათმობაზე.

ის გარემოება, რომ ინგლისის მთავრობა უარს ამბობს რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისართან შეხვედრაზე, კიდევ ერთხელ ნათელყოფს იმას, რომ რუსეთი არ აბრკოლებს უთანხმოების მოგვარებას და ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა დამოკიდებულების შეწყვეტისათვის საბჭოთა მთავრობას არ დაეკისრება. მაგრამ საბჭოთა მთავრობა გამოსთქვამს იმედს, რომ ინგლისის მთავრობა მიიღებს საჭირო ზომებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ორივე სახელმწიფოს შორის ეკონომიურ ურთიერთობის განვითარებას.

**მუშათა მოძრაობა.**

11 ივნისს შრომის გაერთიანებულმა კონფედერაციამ მოაწყო მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლების კრება ფაშიზმთან საბრძოლველად ზომების შესამუშავებლად.

ტიურინგიაში სოციალდემოკრატებსა და კომუნისტებს შორის დაწყებული მოლაპარაკება შესწყდა, რადგანაც სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს კომუნისტების წინადადება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტთა თათბირის მოწვევის, თვითდაცვის რაზმების შეერთებულათ დაარსების და მთავრობის შექმნის შესახებ.

წითელ პროფინტერნის წევრ გერმანელ მეზღვაურთა კავშირის მიერ დაწყებული გაფიცვა ბრემენიდან ემდენში და გამბურგში გადავიდა.

**ფაშიზმის დაშლა.** გაზეთ „როტე ფანე“ იუწყება, რომ ფაშისტურ ორგანიზაციაში მყოფ ზემოსილეზიის მუშებმა უარი განაცხადეს მათი მეთაურების განკარგულების შესრულებაზე და გადავიდენ გაფიცულ მუშების მხარეზე. გაზეთი სწერს: „იტალიაში ფაშიზმის დაშლა დაიწყო ფაშისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, გერმანიაში კი ეს დაშლა გამოაშკარავდა თვით კლასიურ ბრძოლის დროს.

**სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში.**

ბულგარეთში მოხდა გადატრიალება. გადატრიალება მოახდინა ოფიცრების ორგანიზაციამ გენერალ ლაზარევის მეთაურობით. ყველა მინისტრები დაპატიმრებულია სტამბულინსკის გარდა. შესდგა ახალი მთავრობა, წინა მთავრობის მოწინააალმდეგე ყველა პარტიებისაგან კომუნისტების გარდა.

პრაგიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთში ეშინიათ გლეხების აჯანყებისა ახალი მთავრობის წინააღმდეგ. ამის გამო, ყველგან რკინისგზის სადგურებს იცავს ჯარი, რომ ხელი შეუშალოს გლეხების გაერთიანებას. მდგომარეობა მეტად საშიშია, ვინაიდან ჩრდილოეთში შესდგა გლეხების რაზმები და რამოდენიმე ადგილას უკვე მოხდა შეტაკება.

საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის ბალკანეთის ქვეყნების განყ. გამგე ამხ. სანდომირსკიმ განაცხადა, რომ ბულგარეთში მომხდარ გადატრიალების მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს სტამბულინსკის ბრძოლა მაკედონიის ავტონომიის მომხრეებთან, რომლებიც ეხმარებოდენ ბულგარეთის რეაქციონერებს. ეჭვს გარეშეა, რომ ბულგარეთის მინისტრთა ახალი საბჭოს პოლიტიკა უფრო მარჯვენა იქნება და მივა უკიდურეს რეაქციამდე.

მაგრამ საბჭოთა რუსეთი დამშვიდებით უნდა იყოს, რადგანიც ბულგარეთის მშრომელთა მასა თანაგრძნობით უცქერის მას და საბჭოთა რუსეთის მომხრეების რიცხვი ყოველ დღე იზრდება.

ბულგარეთის მეფის მდგომარეობა გადატრიალების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდა. მინისტრთა ახალი საბჭო ემყარება ბურჟუაზიას. გერმანიის ყველა გაზეთები, კომუნისტურ გაზეთების გარდა ესალმებიან გადატრიალებას.

ბულგარეთის გადატრიალებამ საბაბი მისცა გერმანიის რეაქციონურ გაზეთებს დაიწყონ ახალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპანია. ისინი უთითებენ ბულგარეთის მაგალითს, სადაც სამხედრო პირების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა შესძლო მთავრობის დამხობა. გაზეთების აზრით, გერმანიაშიც ადვილია რესპუბლიკანურ მთავრობის დამხობა და მონარქიის დამყარება.

სტამბოლიისკი გაიქცა თავის სოფელში, სლავოვიცში, სადაც მას იცავს ძლიერი რაზმი.

გადატრიალების შემდეგ სტამბოლიისკის მინისტრები დაპატიმრებულია და პასუხისგებაში მიცემული მინისტრების განთავისუფლება.

# ახალი ამბები

— რედაქციამ მიიღო ან. წერეთლის საყმაწვილო მოთხრობა „კონა“ დასურათებული გამოცემა.

— სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოსთან არსებული სრულიად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აღწერის ცენტრალურ ბიუროში (პროსპ. № 4) ივნისის 14—დან იწყება ინსტრუქტორებისა და რეგისტრატორების წინასწარი ჩაწერა. აღწერის მონაწილეობის მიღების მსურველნი უნდა მიმართონ ბიუროს მმართველს მისამართით.

— **ბათუმი უწყლოთ.** ბათუმში ამ ჟამათ წყლის კრიზისი განიცდის. მიღებულია სასწრაფო ზომები წყლის მილების გასაწმენდათ.

— **სკოლები აჭარაში.** სოფ. ხულუბანში და ხულოში განზრახულია გაიხსნას სამეურნეო სკოლები. „ხულოში“ ამას გარდა იხსნება 6 სკოლა, აჭარის—წყალში და ქედის მაზრაში 8, ქობულეთში კი—2.

— **პედაგოგიური კურსები.** ბათუმში იხსნება პედაგოგიური კურსები.

— **უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების აღრიცხვა.** აღნიშნული აღრიცხვა სწარმოებს ბათუმში, დღემდე რეგისტრაციაში გატარდა 350 უცხოელი. აგრეთვე სწარმოებს საზღვრების გარეშე რეგისტრაცია.

— **საჰაერო ფოსტა.** ტფილისიდან მუშაობს საჰაერო ფოსტა ბათუმ-ტფილისის ხაზზე. ტფილისიდან 5 საათის 2 საათის გამოფრენისთანავე მოფრინდა „იუნკერსის“ სისტემის ჰაეროპლანი, რომელმაც მოიტანა ტფილისიდან კორესპონდენციები. ჰაეროპლანიფოსტით უკანვე გაბრუნდა ტფილისს.

— **მასწავლებლების კონფერენცია.** დღეს 14 ივნისს (რუსთაველის პრ. № 4) იწყება საზაფ. კურსების მსმენელ მასწავლებლების კონფერენცია.

**როგორ მოხდა გადატრიალება.**

გაზეთ „ტაიმს“-ს ცნობით ბულგარეთში გადატრიალება მოხდა მეტად სწრაფად და მოულოდნელად. ჯერ დაპატიმრებულ იქნა ზოგიერთი პირი, რის შემდეგ პროფესორი ცანკოვი და გენერალი ლაზარევი მოვიდნენ სასახლეში, შევიდნენ მეფესთან და აუწყეს მას შექმნილი მდგომარეობა. მეფემ, ცოტა ხნის შემდეგ ხელი მოაწერა ბრძანებას მინისტრთა ახალი დროებითი საბჭოს დანიშვნის შესახებ (ცანკოვის მეთაურობით). ამის შემდეგ ცანკოვმა იხმო უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები და აცნობა მათ გადატრიალების შესახებ.

**შრომის ბირჟა.** წარსულ დღეს გამოცხადდა 850 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა 127 უმუშევარი. მოთხოვნილება იყო 34, ხოლო გაიგზავნა კი 27.

— **ქალაქის მამულები.** ქალაქის პირველ და მეორე ნომერ მამულებზე საკუთარ მეურნეობის გაუმჯობესების შესახებ აღმასკომის მეორე პრეზიდიუმმა დაადგინა—დაევალოს ამხ. ქლინს, მინასიანს და ჯაფარიძეს ადგილობრივ გამოარკვიონ აღნიშნულ მამულების მდგომარეობა და წარმოუდგინონ პრეზიდიუმს მოხსენება მეურნეობის გაუმჯობესების ან გაუქმ. შესახებ.

— **დახმარება.** აჭარის თეატრ-კლუბის სააღმშენებლო კომიტეტმა მიიღო 300 მილიონი მანეთი დახმარება ხსენებულ თეატრის ასაგებ ფონდისათვის.

— **ბირჟა.** 13 ივნისის ოფიციალური კურსი: ჩერვონეცი—14 მილიონი მან. გირვანქა სტერლინგი—15,500 ათასი, დოლარი—3,550 ათასი, ოსმალური ლირა—2,250 ათასი მანეთი ამიერ კავკასიის ბონებით.

— **ვერცხლის მანეთიანი.** ბანკის ვერცხლის მანეთიანი ღირს 1,100,000 მანეთი, ორმოცდაათი კაპეიკიანი 95 სინჯის—9 მილიონი, 56—4,500 ათასი მანეთი ამიერ-კავ. ბონებით.

— **სიმინდის ბირჟა.** ხორბალზე ფასი კვლავ ეცემა, შაქრის ფასებიც ეცემა, მანუფაქტურის მოთხოვნილება ეცემა.

**შეცდომის გასწორება.**

„ტრიბუნის“ გუშინდელ № 494-ში „ეკონომიურ ცხოვრებაში“ სწერია: **გორკის ეკონომიური განვითარება.** უნდა იყოს: **კორეის ეკონომიური განვითარება.**

# „ფურცლები დღიურიდან“

(გაგრძელება).

**14 იანვარი 1907 წ.**

დღემდე მე არ ვიცოდი, რა არის დაღლა ან სისუსტე და ჩემთვის არ არსებობდა შესვენება... ჩემი სიცოცხლე მუდამ მოუსვენარი იყო, რადგან ცხოვრება მე მიმაჩნდა ბრძოლის ასპარეზად, რომელზედაც ადამიანს უნდა მოეპოვნა ან გამარჯვება, ან სიკვდილი!.. ჩემს აღრიცხვაში არ არსებობდა დრო, რომელშიაც მე არ ვმოქმედობდი და მძლავრი აზრი—მღელვარე ფიქრებით ხშირად არღვევდა ძილსაც და საოცარ სიზმრებში მომავლის ჩანასახს ამხელდა და შორეულის გარდასავალს მაუწყებდა და მოასწავებდა...

მე მეზიზღებოდა სიცოცხლე მოულოდნელი სიკვდილით, თუმცა მე არ ვიცოდი შიში და მუდამ მზად ვიყავ...

მე ვშიშობდი მხოლოდ იმას, რომ ვერ მოვასწრობდი ჩემს დანიშნულების აღსრულებას და ვერ მივაღწევდი ჩემს მიზანს...

ჩემთვის არ არსებობდა განსაზღვრული დრო, ვინაიდგან მთელი ჩემი სიცოცხლე იყო ერთი დიდი განცდა დიადი მისწრაფებით და ამ მისწრაფებაში მე ვივიწყებდი მუდამ ჩემს თავს...

დღეს კი, მე ვსთვლი დღეებს, რადგან თვითეული მათგანი მიახლოვებს უკანასკნელ საზღვარს, რომელზედაც დაიშლება ჩემი სხეული მისთვის, რომ გაანთავისუფლოს მძლავრი და უკვდავი სული: ერთი დაიშლება და განიცდის სიკვდილს—მეორე გაიშლება და გადავა მომავალში ახალი ცხოვრებისათვის..

დღეს 14 იანვარია. ჩემი სამშობლო დღესასწაულობს ამ დღეს, როგორც დღეს თავის განათლების და განახლებისა...

ოდესღაც, ბრწყინვალე წარსულში, სულით წმინდა და მაღალმა ქალწულმა ვაზის ჯვრით გაანათლა ქართველი ერი, მიანიჭა მას სულიერი საუნჯე და აამაღლა იგი გონებით. ქრისტიანობის დასაწყისში საქართველოს ამშვენებდა ქართველთა განმანათლებელი—ნინო; სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის და ეროვნულ ცხოვრების განვითარების დროს საქართველოს აშენებდა და ამკვიდრებდა—თამარი; თავისუფლების უძველეს რაინდს—საქართველოს ბევრი უნახავს სულით და გონებით ამაღლებული ქართველი ქალი, — საუკეთესო მებრძოლი, საუკეთესო ნომავლისთვის...

ბევრი ქალის სახელია დღესაც მის ხსოვნაში წმიდათ და სადიდებლათ შენახული! ბედნიერი იყო ქართველი ერი—მას, აღიარებდნენ მშვენიერნი მანდილოსანი!..

დღეს კი, დღეს იგი უბედურია, რადგან მას აღარ უნახავს დიდი ხანია დიდი ქალები! თვითმპყრობელობის საზიზღარმა პოლიტიკამ გამოჰგლიჯა საქართველოს თავის უფლება, დაამხო ქართველი ერის სიამაყე, გახრწნა მისი სული და მოადუნა მისი გონება...

ქართველი ქალი გადაგვარდა, დამცირდა, დაეცა...

ნამდვილი ქართველი დედა სანატრელ მოვლენად გადაიქცა! ქართველობა, ქართველი ერის სიყვარული, სამშობლო—სამარცხვინო სახელებად გადაიქცა: საზიზღარი დრო დადგა...

„ბრწყინვალე წოდება“, რომელიც ოდესღაც ერის მოთავე იყო და ყოველთვის მას თავსა ჰსწირავდა,—დღეს მის გამყიდველად და გამცემლად გადაიქცა: თავისუფლება, ერის ღირსება, მისი საუკეთესო ღირებულება და ინტერესები „ჯვარ-მენდლებზე, პაგონებზე და ჩინებზე“ იყიდებოდა...

ერის სულიერი საუნჯე, მისი ძალ-ღონე, ბუნებრივი ნიჭი, იშვიათი სიამაყე—ყველა ეს თვითმპყრობელობის გამათახსირებელ გავლენას განიცდის: ქართველი ერი საშინელ გარეულ ფრინველის კლანჭებშია მომწყვდეული და ძლივს ღა ჰსუნთქავს...

პრომეთეს კი ჯერ ჯაჭვები არ გაუწყვეტია!..

მაგრამ, მალე, ძალიან მალე ამოვარდება საშინელი ქარიშხალი, წამოდგება მოთმინებიდგან გამოსული მშრომელი ხალხი და იგრიალებს რევოლიუცია: დაინგრევა ტახტი მეფისა და დაინგრევა მისი სასახლეები...

დაიღვრება სისხლი და დაინთება კოცონი და მოინათლება პირველად პროლეტარიატი! და სისხლში მონათლული და ცეცხლში გაწმენდილი პროლეტარიატი მოჰნათლავს შემდეგ მთელს კაცობრიობას და ერთს რევოლიუციას მოჰყვება მეორე, მეორეს მესამე, პატარას—დიდი და ასე სულ, ვიდრე არ დამყარდება ქვეყანაზედ თავისუფლება და ერთა ერთობა! ვიცი, რომ ეს აუცილებელია და ამას ვერ გააჩერებს ვერავინ, ვინაიდან ეს მთელი კაცობრიობის გარდაუვალი მომავალია!..

მანამდის კი იჩაგრება მშრომელი ხალხი და იტანჯება ეროვნება და ჩემი სამშობლოც...

მე მეჯავრება ჩემი სამშობლო, იმიტომ რომ დღეს იგი პარაზიტების სამშობლოა: მონური საქართველო არ არის სამშობლო ქართველი ერისა;

# მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

## 4 კლასთა ბრძოლის პრინციპი და ეროვნული საკითხი

> **პროლეტარიატის გამარჯვება ბურჟუაზიაზე იმავე დროს არის სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა. კ. მარქსი 1847 წ.**

(შემდეგი)

ვიმეორებ, მარქსი მოღვაწეობდა იმ პერიოდში, როდესაც თანამედროვე ფინანსიური კაპიტალიზმი და მის საფუძველზე აღმოცენებული თანამედროვე იმპერიალიზმი ჩანასახის პერიოდში იყო. მიუხედავად ამისა მარქსმა მოვგცა ამ მხრივაც გარკვეული ხაზი, რომელიც დაასაბუთენ და გაამაგრენ მისმა მოწაფეებმა.

მე-XIX-ე საუკუნის მიწურულებსა და მე-XX-ეს დასაწყისში კაპიტალიზმის განვითარება ახალ სტადიაში შევიდა ტ სამრეწველო კაპიტალიზმმა თავისი ანარქიული მოვლენებით ადგილი დაუთმო მონოპოლიურ-კაპიტალისტურ ტრესტებსა და სინდიკატებს—ფინანსიურ კაპიტალიზს. ამ პერიოდში ევროპის კაპიტალის ურთიერთობა უფრო გაცხოველდა, უფრო გაფართოვდა კოლონიებთან. კოლონიების მნიშვნელობა კაპიტალისტურ მეურნეობისთვის დაუფასებელი შეიქმნა. ისინი თამაშობდენ სამს უმთავრეს როლს კაპიტალიზმის ექსპანსიის საქმეში: 1) აწვდიან ნედლ მასალას და სურსათ-სანოვაგეს კაპიტალისტურ ქვეყნებს, 2) ასაღებენ მათი ინდუსტრიის პროდუქტებს და 3) ხდებიან ევროპაში დაგროვილ ზედმეტ კაპიტალის ექსპორტისა და ამუშავების იბიექტად. ამ საფუძლებზე განვითარდა ევროპის სახელმწიფოთა თანამედროვე კოლონიალური პოლიტიკა, იმპერიალიზმი და განმტკიცდა კაპიტალიზმის ბატონობა. *)

ეს საკითხი შეადგენდა მარქსისტების ერთ მთავარ პრობლემას ამ უკანასკნელი ორი ათეული წლების განმავლობაში. ოტტო ბაუერმა („ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“ 1908 წ.) რ. გილფერდინგმა („ფინანსიური კაპიტალი“ 1910 წ.) როზა ლიუქსენბურგმა („კაპიტალის დაგროვება“ 1913 წ). ნ. ლენინმა („იმპერიალიზმი“... 1915 წ.) საკითხის შესახებ კაპიტალური შრომები მოგვცეს და სხვადასხვა მიდგომით ნათლად გამოარკვიეს კოლონიალურ ერების როლი კაპიტალის ექსპანსიის საქმეში.

ეს მარქსისტი მწერლები სხვადასხვა გვარად უდგებიან საკითხს და ამ მხრივ მათ შორის არ არის სოლიდარობა. მიუხედავად ამისა მათ აღნიშნული აქვთ თითქმის ერთნაირად კოლონიების როლი კაპიტალიზმის ექსპანსიის საქმეში.

1902 წ. ინგლისის ლიბერალი მწერალი **ჯონ გობსონი** თავის მეტად საინტერესო წიგნში **„იმპერიალიზმი“** (არის რუსული თარგმანი 1918 წ.) რომელშიაც საუკეთესო დახასიათება მოგვცა იმპერიალიზმის შინაარსისა: სწერდა შემდეგს „...**გაბატონებული სახელმწიფო გამოიყენებს თავის პროვინციებს, კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებს თავისი** მმართველი კლასის გასამდიდრებლად და მოსაყიდად თავისი **მდაბალი კლასებისა, რომ ისინი მშვიდობიანად იყვენ**“ ჩინეთის გადაყოფა ევროპისათვის ასეთს ეკონომიურ შეფასებას იწვევს გობსონის მხრით: „...Маленькая кучка богатых аристократов, получающих дивиденды и пенсии с далекого Востока, с несколько более значительной группой профессиональных служащих и торговцев, и с более крупным числом домашних слуг и рабочих в перевозочной промышленности и в промышленности занятой окончательной отделкой фабрикатов Главные же отрасли промышленности исчезли бы, и массовые продукти питания, массовые полуфабрикаты, притекали бы, как дань, из Азии и Африки“. (იხ. ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი“... გვ. 106—07).

ლიბერალმა გობსონმა ჯერ კიდევ მე-XX საუკ. დასაწყისში საუცხოვოთ დაახასიათა ის ეკონომიური და სოციალური ურთიერთობა, რომელიც მყარდება კოლონიებსა და მეტროპოლიის შორის იმპერიალიზმის პერიოდში. კოლონიები, დამოკიდებული ქვეყნები, პროვინციები და ყველა არა კაპიტალისტური ფორმაციები ქვებავენ გაბატონებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამ ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე წარმოიშვა ინგლისის სპეკულიანტებისა და კაპიტალისტების განცხადება: **„მე არ ვცხოვრობ ინდოეთში, მაგრამ მე ვცხოვრობ ინდოეთით“.**

როზა ლიუქსენბურგი თავის წიგნში სწერს:— „იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების პროცესის პოლიტიკურ გამოხატულებას მის კონკრეტიულ ბრძოლაში დარჩენილ არაკაპიტალისტურ მსოფლიო წრეებთან...

„კაპიტალისტური დაგროვება, როგორც მთლიანი, როგორც კონკრეტიული ისტორიული პროცესი, **სდგება ორი სხვა და სხვა ნაწილისაგან.** ერთი მათგანი ხდება **ზედმეტი ღირებულების წარმოების ადგილას**—ქარხანაში, მაღაროებში, მამულში,—და მსოფლიო ბაზარზე...

კაპიტალის დაგროვების პროცესის მეორე მხარე სწარმოებს კაპიტალსა და არა-კაპიტალისტურ წარმოების ფორმებს შორის. მის სარბიელს წარმოადგენს მთელი მსოფლიო“. (იხ. Р. Люксенбург: „Накопление капитала“ გვ. 320, 325). ამ დებულებებიდან ერთი მტკიცდება, მარქსისტები უკვე ეძებენ კაპიტალის დაგროვების ახალ წყაროების წარმოების (მუშების) პროცესის გარეშეც. ის, რაც დაიწყო მარქსმა თავის პოლიტიკურ ნაწერებში, ამ ჟამად სხდება თეორიულ კვლევა-ძიების საგანი მარქსისტთა შორის, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ დუღილშია თეორიულად და მრავალი დოგმატიური მარქსისტი ამაში თქვენ არ დაგეთანხმებათ. საკითხის კრიზის არბილებს ის გარემოება, რომ პრაქტიკულ პოლიტიკის დროს კს რევოლიუციონერები სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდიან, იცავენ იმ ხაზს, რომ ევროპის კაპიტალი უმთავრესად თავის ძალას იკრეფს კოლონიებიდან და ამით თავიანთ პოლიტიკურ ხაზს ამ ხაზითაც მიჰმართავენ.

კომინტერნის მეორე კონგრესზე 1920 წ. მიღებული იყო ამხ. ნ. ლენინის თეზისები ნაციონალურ და კოლონიალურ საკითხის შესახებ. ეს თეზისები გულმოდგინებით იქმნა განხილული კომისიასა და თვით ყრილობაზე; ინდოეთის კომუნისტის **როის** წინადადებით მიღებული იქმნა შემდეგი დამატებითი სახელმძღვანელო თეზისები, რომელთაც სავსებით დაეთანხმა ამხ. ლენინი:

2. **„ევროპის კაპიტალიზმი კრეფს თავის ძალას უმთავრესათ არა ევროპის სამრეწველო ქვეყნებიდან, არამედ თავის კოლონიურ სამფლობელოდან. მისი არსებობისათვის აუცილებელია კონტროლი ვეებერთელა კოლონიის ბაზრებზე და ფართო ასპარეზი ექსპლოატაციისათვის.** ინგლისი —იმპერიალიზმის ფუძე—უკვე ერთი საუკუნეა რაც ზედმეტი ნაწარმოებით იტანჯება (страдает перепроизводством). ვეებერთელა კოლონიურ სამფლობელოებს მოკლებული, რომელიც ასე საჭიროა საქონლის გასასაღებლათ და იმავე დროს ნედლი მასალის მოსაწოდებლათ, კაპიტალისტური წყობილება ინგლისისა დაიმსხვრევოდა დიდი ხნის წინეთ თავისავე სიმძიმით. ჰყავს—რა მონობაში აზიისა და აფრიკის ასეული მილიონი მცხოვრები, ინგლისის იმპერიალიზმს იმავე დროს უჭირავს ბრიტანეთის პროლეტარიატიც ბურჟუაზიის მორჩილებაში.

3. **ზედმეტი მოგება,** (сверх—прибыль), **კოლონიებიდან მიღებული, წარმოადგენს თანამედროვე კაპიტალიზმის საშვალებათა მთავარ წყაროს. ევროპის მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ მიეცემა საშვალება დაამხოს კაპიტალისტური წყობილება, როდესაც ეს წყარო სავსებით ამოიწურება**

კაპიტალისტური ქვეყნები სცდილობენ, უნდა ითქვას არა უშედეგოთ, აღედგინოთ თავისი შერყეული მდგომარეობა—კოლონიებში ადამიანის შრომისა და ბუნებრივ სიმდიდრის ფართო და ინტენსიურ ექსპლოატაციის საშვალებით. კოლონიის მოსახლეობის ექსპლოატაციის საშვალებით ევროპის იმპერიალიზმს შეუძლია მიაწოდოს მთელი რიგი მოწყალება—კომპენსაციებისა ევროპის მუშათა არისტოკრატიას. იმ დროს, როდესაც ერთის მხრით ევროპის იმპერიალიზმი ცდილობს დასწიოს საარსებო მინიმუმი პროლეტარიატისა კონტინენტზე საქონლის იმპორტის საშვალებით, რომელიც დამზადებულია კოლონიურ ქვეყნების მუშების უფრო იაფ შრომით, (მეორეს მხრით) **ბურჟუაზია თანახმაა გასწიროს შინ მისაღები ზედმეტი—მოგება, ოღონდ შეინარჩუნოს ზედმეტი—მოგება—კოლონიების ექსპლოატაციისაგან.**

4. **კოლონიების ჩამოშორება და პროლეტარული რევოლიუცია შინ დაამხობს ევროპაში კაპიტალისტურ წყობილებას. მაშასადამე, კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა გააფართოოს თავის მოქმედების ასპარეზი. კომუნისტური ინტერნაციონალი მჭიდრო კონტაქტში უნდა იყოს იმ რევოლიუციონურ ძალებთან, რომელნიც თანამედროვე მომენტში მონაწილეობას იღებენ იმპერიალიზმის დამხობაში პოლიტიკურ და ეკონომიურათ დამონებულ ქვეყნებში. მსოფლიო რევოლიუციის სრული წარმატებისათვის, აუცილებელია ამ ორი ძალის შეთანხმებული მოქმედება.**“ („Резолюции и устав Коммунистическаго Интернационала“ გვ. 98—9 კურსივი ჩემია).

ამ მიმოხილვიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ეროვნული საკითხი მარქსიზმისათვის მხოლოდ ტაქტიკური საკითხი კი არ არის, არამედ უაღრესად პროგრამული. მარქსი მთელს თავის პროგრამასა და სამოღვაწეო გეგმებს კაპიტალიზმის სისტემის შესწავლაზე და მის მეთოდებზე ამყარებს. მთელი პლატფორმა მარქსისა და გარდამავალი პერიოდის სისტემა აგებული არის კაპიტალისტური მეურნეობისა და მის ნიადაგზე აღმოცენებულ ტენდენციების შესწავლაზე. კაპიტალისტური მეურნეობის სისტემამ დაყო მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე სოციალურ კლასად, რომელთა შორის ერთი ყოველი მხრით გაბატონებულ მდგომარეობაშია და ყოველის საშუალებით ყვლეფს დამონებულ პირობებში მყოფ კლასს. ეს იყო ერთი უმთავრესი შემოსავალი წყარო კაპიტალისტური კლასებისა და კაპიტალიზმის ესპანსიისათვის. და, როგორც ავღნიშნეთ, მარქსი ეყრდნობოდა უმთავრესად მუშათა მოძრაობას, რომ ამ გზით დაემხო კაპიტალიზმის ბატონობა.

მაგრამ კაპიტალიზმმა მეორე ჩაგვრაც შეჰქმნა: მან გააბატონა ერთი ერი, სახელმწიფო, მეორე ერზე ყოველის მხრით და მისცა მას საშუალება ყოვლის საშუალებით ეყვლიფათ ისინი. ამით კაპიტალიზმმა მოიპოვა ახალი შემოსავლიანი წყარო. იგი ექსპლოატაციას უშვრება ჩამორჩენილსა და განუვითარებელ ერებს ეკონომიურ და პოლიტიკურ მეთოდების ძალდატანებით. უკოლონიოდ კაპიტალიზმის განვითარება და წარმატება შეუძლებელი შეიქმნა. ერების ჩაგვრა, ჩამორჩენილ სამეურნეო ნაციონალურ ერთეულების ექსპლოატაცია ერთი **აუცილებელი პირობათაგანი** შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის, უკეთ, **ერების ექსპლოატაცია კაპიტალიზმის სისტემის აუცილებელი ელემენტია.** აქედან წარმოიშვა და განმტკიცდა ახალი რევოლიუციონური პროგრამა, რომლის გეგმა უკვე ჰქონდა მარქსს წამოყენებული, გაღრმავება ნაციონალური მოძრაობისა, გახლეჩა ეკონომიურ-პოლიტიკურ ურთიერთობისა კაპიტალისტურ მეტროპოლიასა და საექსპლოატაციო ობიექტს—დაჩაგრულ ნაციებს შორის, როგორც **ერთ ერთი აუცილებელი პირობა** კაპიტალისტური მეურნეობის დასამხობად, *) Conditio sine qua non—აი რა არის ეროვნული საკითხი თანამედროვე მარქსიზმისათვის.

მოვიყვანოთ კიდევ ერთი მაგალითი მარქს-ენგელსის ნაწერებიდან. ჩვენ ზემოდ მარქსის წერი-

*) იხ. წერილი „იმპერიალიზმი და ერები“, „სახალხო საქმე“ № 554, 1919 წ.

*) ასე სვამს საკითხს კომინტერნი, კომპარტია. საინტერესოა, თუ როგორ უყურებენ საკითხს **სოციალ-იმპერიალისტები.** ომის დროს სოციალ-იმპერიალიზმის იდეოლოგმა **ჰენრიხ კუნოვმა** გარკვეული

[illegible] ერი არის მშრომელი და მისი სამშობლო [illegible] უნდა იყოს..

დღევანდელ სამშობლოში ბატონობენ პარაზი-ტები—მშრომელი ერი კი დამონებულია: ასეთი სამშობლო ჩემთვის არ არსებობს—იგი ჩემთვის იგი-ვე საპყრობილეა! მე მიყვარდა სამშობლო და მშობელი დედა და როდესაც პატარა ვიყავ [illegible] და სანატრელ განძს.

მე დღესაც კარგად მახსოვს ის წუთები, რო-[illegible] [illegible] და ერთხელ, როდე-[illegible] [illegible] ლად წყენა, გულ-ნატკენი მივვარდი დედაჩემთან და მდუღარე ცრემლებითა ვსტიროდი. დედამ ამი-ყვანა ხელში, ჩამიკრა გულში, მხურვალე კოცნით მიშრო ცრემლიანი თვალები და ტკბილი, საამუ-რი ხმით მიალერსებდა: „სულე, გენაცვალე, სულე. ნუ სტირი თავი აგტკივა.. აბა ვისი ბრალია? რად წავედი ქუჩაში? რატომ არ გაიგონე დედის სიტ-ყვა? გაწყენინეს განა? აი, ის საძაგელი! მე ვაჩვენებ მას.. დამაცადოს! კმარა, ნუ სტირი.. გენაცვალოს დედაშენი: მე შენ უფრო კარგს სალამურს მოგცემ.. ოქროს სალამურს.. მეფის შვილსაც არა ჰქონდეს“..

ჩემს სმენას ტკბილი ზღაპარივით უალერსებ-და ეს წყნარი, დედის გულიდგან ამოსული სიტყვე-ბი და დედის საამური ხმა ჩემს პატარა გულს ამ-შვიდებდა და ანუგეშებდა, როგორც მომხიბლავი ოქროს სალამური დედის ტკბილმა ალერსმა დააწ-ყნარა დარდისაგან აშფოთებული პაწია სული და სულ გააქრო და გაანელა პაწკია გულის მწვავე ტკივილი! დედის ტკბილმა ალერსმა ჩანერგა ჩემს გულში გრძნობა ნამდვილი სიყვარულისა და გაა-ღვია ცეცხლი მომავალი ცხოვრების გასანათებლად და გასაკვლევად!.

დედის ტკბილმა ალერსმა.. მუდამ სანატრელ-მა, შეუდარებელმა და დაუფასებელმა დედის ალრე-სმა!..

. . . . . . . .

მას აქედ ბევრი წლეები გავიდა. იმ პირველ წყენას ბევრი სხვა მოჰყვა, უფრო დიდი, უფრო ძიმე.. არა ერთხელ დაიკაწრა ჩემი გული და აივ-სო დარდით და ტკივილით.. არა ერთხელ აიმღვრა და აშფოთდა ჩემი სულიც. და მუდამ, ასეთ განსაც-დელში, მაგონდებოდა მე ჩემი საყვარელი დედა და ეს დედა იყო ჩემი ლამაზი სამშობლო..

მაგონდებოდა მომხიბლავი ოქროს სალამური და ეს სალამური იყო სანატრელი და ძვირფასი თა-ვისუფლება. შავი ქოფაკი ბასრი კბილებით მგლე-ჯავდა ქუჩაში სალამურს—და ეს ქოფაკი იყო თვით-მპყრობელობა, ქუჩა კი—საზიზღარი და სასტიკი ცხოვრება!. და ვწვალობდი, ვიტანჯებოდი მე მარ-ტოდ, მწარედ ვსტიროდი და აღარ სჩანდა ნუგეში და სანატრელი დედის ალერსი. აღარ ისმოდა მი-სი ტბილი და საამური ხმა, სიყვარულით სავსე სიტყვებით: „სულე, გენაცვალე, სულე.. ნუ სტირი.. გენაცვალოს დედაშენი!“. მე ძალიან ადრე დავკარ-გე დედა; დავკარგე დედის ტკბილი ალერსიც!. დავკარგე საყვარელი სამშობლო!.. მე გამომგლიჯეს დედაჩემს და თავისუფლების ნაცვლად ციხე-საპ-ყრობილეები მომანიჭეს. ჩემი სამშობლო მშრომელი ერის საპყრობილეთ გადაიქცა და შემჯავრდა თავის აწმყოში... მომავალი კი მისი შავი ღრუბლებით არის მოცული.

. . . . . . . .

დედის ალერსის ნაცვლად ხშირად გამიგია გამხეცებული დარაჯის ღრიალი:

„ჩაკმინდე ხმა, შე ძაღლის ლეკვო! თორემ ამო-გამატვრევ მაგ კბილებს და ცხვირ-პირს მიგილე-წამო!“ და ჩემს კისერს ხშირად მოჰხვედრია მძიმე კონდახი, და დაუსისხლიანებია ჩემი პირისახე მათ-რახს.: ბევრი ტანჯვა და წამება გამოუვლია ჩემს სხეულს და ჩემს სულს, მაგრამ ჩემს ჯალათებს არ უნახავთ ჩემს თვალებზე ცრემლები და ვერ მოსწ-რებიან ჩემი სულით დაცემას და დამარცხებას. მე ვკვდები, მაგრამ ჩემი სიკვდილი ან არის ჩემი და-მარცხება და არ მისცემს გამარჯვებას ჩემს მტერს!. იგი მხოლოდ განამტკიცებს თავისუფლებას და გზას გაუხსნის ახალ რიგებს.. მებრძოლთა რიგებს და გაამწვავებს უფრო ბრძოლას; გააძლიერებს მას წყურვილს, გამარჯვების სურვილს და მისწრაფებას. მე არ მიტირია არას დროს, მაგრამ დღეს კი ვსტირი. ვსტირი მდუღარეთ და მწარე ცრემლები მიწვავენ თვალებს, უნუგეშო დარდი მიკლავს გულს და აწუხე-ბენ სულს შავი სევდიანი ფიქრები: ნაღვლიანს და გამწარებულს, დასუსტებულს, სნეულს, მაგონდება საყვარელი დედა, მისი ტკბილი ალერსი და მომ-ხიბლავი ოქროს სალამური!. დიახ, მე სამუდამოდ დავკარგე საყვარელი დედა.. მე დავკარგე დედის ტკბილი ალერსი.. მეტად ძვირფასი და სანატრელი განძი, ერთად ერთი სიცოცხლის ნუგეში და სიამე. მე დავკარგე ყოვლად შეუდარებელი და დაუფასე-ბელი და მუდამ ტკბილი დაჴსაყვარელი სამშობლო!. ოჰ, განა შეედრება რამე ქვეყანაზედ დედის გულს, დედის სიყვარულს და დედის ტკბილს ალერს?! მთელი სიცოცხლე ვსტირი ამ დაკარგულ ალერს და თუმც სიკვდილი სუყველასა [illegible] ინც სამშობლოში სჯობია! აქ კი,—აქ სიცოცხლეც სიკვდილია!

გენო ყორიჩბაში.

(გაგრძელება იქნება)

## ჩვენი სკოლა

### „საბავშო ბაღი-ს“ და მისი კურსების გარ-შემო.

დღევანდელმა ჩვენმა ცხოვრებამ პედაგოგიურ ასპარეზზე მრავალი საკინხები ამოატივტივა პედა-გოგიკის ერთ მთლიან სახის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ ეს საკითხები გაშუქების მხრივ დიდ კრი-ზისს განიცდის. ყველაზე საგრძნობი, ყველაზე სა-თუთი კი სწორედ ეს სწავლა-აღმზრდელობაა, რო-მელზედაც დამყარებულია ერის სიჯანსაღე და გო-ნებრივი ზრდა.

დღეს ჩვენმა ცხოვრებამ მიზნად დაისახა ახა-ლი სკოლის შექმნა, რომელიც არსებითად უნდა განსხვავდებოდეს ძველ სკოლისაგან და ისეთი გა-დახალისებული სახე უნდა მიეცეს, რომ ბავშისათ-ვის სასიხარულო და მარგებელი იყოს ეს ახალი სკოლა.

მაგრამ დღეს დღეობით ეს ახალი სკოლა არ არის გამართლებული, როგორც მუშაობის ისევე იმ მასალების მხრივ, რომელიც ახალი სკოლის საფუძ-ველს შეადგენს. ამ საკითხს ალბად ცალკე დაუბ-რუნდები, აქ კი უნდა აღინიშნოს, რომ დღეს შრო-მის სკოლების გარშემო არ ისმის ხმაური და თვით ხსენებულ სკოლაში მომუშავენიც დაინტერესებულნი არიან საბავშო ბაღით, როგორც ალბად პირველ შესაღებ კარები შრომის სკოლისათვის.

და სწორედ ამ საბავშო ბაღებისაკენ უნდა მივაქციო მკითხველის გულისყური.

როგორც ერთხელაღვნიშნე, ამ საკითხს ფარ-თე მოედანი მიეცა ყოველ მხრივ შესასწავლად და გასაშუქებლად.

ეს მოედანი გახლავთ განათლების მუშაკთა სახლი, რომელიც, სამწუხაროდ, ისევ ისეთს მშრალს და უხალისო მუშაობას ეწევა, როგორც დასაწყის-ში. ამის შესახებ აქვე უნდა აღვნიშნო, სხვათა შო-რის ერთი პატარა შემთხევა, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სასახლის მოღვაწეო-ბისათვის.

ამ მოკლე ხანში განათ. მუშაკთა სასახლეში წაკითხულ იქმნა მოხსენება მოსკოვიდან დაბრუნე-ბულ ჯგუფის მიერ, რომელიც გაგზავნილი იყო იმიტომ, რომ იქ გასცნობოდა მოსკოვის, როგორც ბაღებს, ისე კერებს და შრომის სკოლებს,

ყველა აქ მყოფი მასწავლებელი ელოდდა მათ, მათგან ახალ სიტყვას და შეიძლება ზოგიერთების ფიქრით უკვე ითქვა კიდევაც.

ვერც ერთი მომხსენებლისაგან ვერ გაიგო ტფილისის მასწავლებლებმა მოსკოვის სკოლების შინაგანი ორგანიზაცია მთელს თავის აღმზრდელო-ბითი და განათლების ატრიბუტებით, ვერ იქმნა დახატული მოსკოვის სკოლების ტიპი, როგორც ასეთის, ვერ იყო შეთვისებული და პსიქოლოგიუ-რათ გაგებული ის აღმზრდელობითი ძაფი, რომე-ლიც გაბმულია მასწავლებლის და მოწაფეთა შო-რის, მათი ლტოლვა, მათი შედეგები.

ამის მსგავსი არაფერი ყოფილა.

მაშ რა ამბავი ჩამოგვიტანეს წასულებმა?

გარეგანი ფორმის ამბავი.

მათ ძალიან კარგათ შეუთვისებიათ გარეგანი მოცულობა, სიდიდე, თუ ფორმა მოსკოვის სკოლე-ბისა.

აქამდის ვიცოდით, რომ მხოლოთ „ფუტური-სტები“ იყვნენ გარეგან სიმშვენიერის ძიებაში, მის შეთვისებაში, მისი ეფექტიზაციაში და თუ აღმზრ-დელობითი მხარეც მოიხიბლებოდა ამით ეს კი ჩვენთვის მართლაც „ახალია“. რა უყვეს მომხსენებ-ლებმა, როგორც ვთქვით, საქმის შინაგანი მხარე, შინაარსი, სული და შედეგები სკოლისა? ნუ თუ მა-თი ყურადღება მარტო გარეგნობამ მიიპყრო და შინაგანი ვერაფერი დაინახეს? სურათებით ოთახე-

---

[illegible]ი მოვიყვანეთ, რომელშიაც უმთავრესად განხი-ლული იყო სოციალ-ეკონომიური მომენტები ეროვ-ნული ჩაგვრისა, ერთა ექსპლოატაციისა. ახლა მო-ვიყვან ენგელსის წერილს, რომელშიაც უმთავრე-სად პოლიტიკურ-რევოლიუციონური საზომით არის დაყენებული ეროვნული კითხვა.

1875—7 წლებში ენგელსი სწერდა: არც ერთს რევოლიუციას დასავლეთ ევროპაში არ შეუძლია მიაღწიოს თავის საბოლოო გამარჯვებას, სანამ მის გვერდით არსებობს თანამედროვე რუსეთის სახელ-მწიფო... დამხობა რუსეთის აბსოლიუტიზმისა, და-შლა რუსეთის იმპერიისა წარმოადგენს, ამ გვარად, ერთ პირველ პირობათაგანს გერმანიის პროლეტა-რიატის საბოლოო გამარჯვებისათვის... თვით რუ-სეთის სახელმწიფოში, მის შიგნით, არსებობენ ელე-მენტები, რომელნიც გაორკეცებულად მუშაობენ მისი (რუსეთის იმპერიის) დასამხობად... პირველი მათგანი—ეს **პოლონელებია...**

მისი (პოლონეთის) უფლება დამოუკიდებელი არსებობისა ევროპის ხალხთა ოჯახში უდაოა. მაგ-რამ პოლონეთის განთავისუფლება განსაკუთრებით აუცილებელია ორი ერისათვის: გერმანელებისა და თვით რუსებისათვის.

**ხალხს (ერს) რომელიც სჩაგრავს სხვებს, არ შეუძლია გაითავისუფლოს თავისი თავი, ის ძალა, რომელიც მას უნდა სხვათა დასაჩაგრავათ, ბოლოს და ბოლოს ყოველთვის გარდაიქმნება მისივე საწინააღმდეგო ძალად.** (ამ მეტად სერიო-ზულ პრინციპიალურ დებულებას, რომელსაც აუცი-ლებლად **სახელმძღვანელო** ხასიათი აქვს მარქს-ენგელსისათვის ეროვნულ საკითხში, ისინი 1847 წლიდან მრავალჯერ იმეორებენ თავიანთ საპრო-გრამო წერილებში ს. დ.) სანამ პოლონეთში რუსის ჯარი სდგას, არ უნდა ველოდეთ რუსის ხალხის არც პოლიტიკურსა და არც სოციალურ განთავი-სუფლებას. მაგრამ **რუსეთის ეხლანდელი მდგომა-რეობა უეჭვოთ ხდის იმას, რომ იმ დღეს, როდე-საც განთავისუფლდება პოლონეთი, თვით რუსე-თში მოძრაობა იმდენად ძლიერი იქნება, რომ დაამხოს არსებული წყობილების მდგომარეობა. პოლონეთის დამოუკიდებლობა და რუსეთის რე-ვოლიუცია—ეს ორი მოვლენაა, რომელიც ურთი-ერთს უზრუნველჰყოფენ.** პოლონეთის დამოუკი-დებლობა კი და რუსეთის რევოლიუცია,—ამავე დროს სრული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ფინანსიური დაშლა და მთელი ოფიციალური რუ-სეთის გახრწნა ამოწმებენ, რომ ეს რევოლიუცია გაცილებით ახლოა, ვიდრე ის საქმის ზერელე გადა-ხედვით გვეჩვენება,—**ნიშნავს გერმანიის მუშები-სათვის შემდეგს: ბურჟუაზია, მთავრობა, ერთი სიტყვით—რეაქცია გერმანიაში თავისი საკუთარი ძალების ანაბარა დარჩება—ასეთ მტრებს კი ჩვენ თითონვე დროულათ გაუსწორდებით**“ (Ф. Энгельс „Статья 1871—75 г. г.“ გვ. 56, 45).

ამ კონკრეტიულ ისტორიულ მაგალითზე ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ სწორად არის დაყენებული ეროვნული საკითხი და როგორ არის ამ კითხვის დაყენება მიზანშეწონილად შეფარდებული საერთა-შორისო რევოლიუციონურ სიტუაციასთან, რუსეთ-სა და გერმანეთის პროლეტარიატის გამარჯვების საქმესთან. პოლონეთის დამოუკიდებლობა და რე-ვოლიუცია რუსეთში ერთმანეთისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. („Это две вещи которые обусловливают друг друга“).

ზემოდ მოყვავილ ყველა დებულებების შემდეგ კითხვა იბადება: საკითხის **ამ გვარი სახით** დაყე-ნება მხოლოდ ტაქტიკურია, რომელსაც ჩიხტი-კოპის ლეჩაქივით გამოიცვლი, როცა დაგჭირდება, თუ უაღრესად პროგრამული, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი, თუ გულწრფელად ემსახურები შენს მთავარ მიზანს, კომუნიზმის საქმეს?

საკითხის ნათელ საყოფად ჩვენ შეგვიძლია კიდევ ერთი შედარება მოვიყვანოთ: კლასთა ბრძო-ლის პრინციპი, პროლეტარიატის დიქტატურა და გარდამავალი პერიოდის სისტემის ეკონომიკა და პოლიტიკური ფორმები, მარქსიზმისათვის არ წარ-მოადგენს თვით მიზანს, უმაღლეს იდეალს. მარქსიზმის თვით მიზანი—კომუნიზმია, ხოლი კლასთა ბრძოლა ერთი უმთავრესი მეთოდი და პირობა ამ მთავარ მიზნის მისაღწევად,—მაშასადამე ინდივიდთა შორის ემანსიპაციის დამყარება, საზოგადოებაში ეკონო-მიურ და სოციალურ თანასწორობის შექმნა, მაშა-სადამე კლასთა მოსპობა. მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ მარქსიზმი დღევანდელ ბრძოლის პერიოდში ამა თუ იმ სახით ხელს აიღებს კლასთა ბრძოლის მეთოდზე და მას უბრალო ტაქტიკის კითხვად გა-მოაცხადებს?—რასაკვირველია, არა.

ასევე ერების განთავისუფლება, ეროვნული საკითხი, ერი არ შეადგენს მარქსის **თვით მიზანს,** ეს მიზანი კომუნიზმია, ყოველგვარი ყვლეფის მო-სპობა, მაშასადამე მოსპობა ეროვნული ჩაგვრისაც. (გაიხსენეთ მარქსის სიტყვები 1847 წ: „**პროლეტა-რიატის გამარჯვება იმავ დროს არის სიგნალი ყველა დაჩაგრულ ერთა განთავისუფლების**“, „კო-მუნისტური მანიფესტი“ ამბობს: „**რამდენად** მოის-პობა ექსპლოატაცია ერთ პიროვნებისა მეორეს მიერ, **იმდენადვე მოისპობა ექსპლოატაცია ერთი ნაციისა მეორე ნაციის მიერ. კლასთა წინააღმდე-გობის დამხობასთან ერთად ერში დაემხობა ერ-თა მტრული განწყობილება ერთმანეთისადმი**“. მიუხედავად საკითხის ასე დაყენებისა, მარქსისტე-ბისათვის, როგორც დავინახეთ, ეროვნული საკით-ხი, **ეროვნულ ფაქტორი შეიქმნა შედარებით ერთ ერთ მთავარ პირობათ კაპიტალიზმის განადგურე-ბის საქმეში.** *)

ნიშნავს ეს იმას რომ ეროვნული საკითხი მხოლოდ ტაქტიკის კითხვაა? სრულიადაც არა. რო-გორც კლასთა ბრძოლის მეთოდი არის მთელი პროგ-რამის, მთელი სისტემის და პლატფორმის საკითხი, ისევე შედარებით ეროვნული საკითხი გადაიქცა მარქსისტებისათვის მოელი სისტემის, მთელი პლატ-ფორმისა და პროგრამის საკითხად. თანამედროვე კაპიტალიზმის ბატონობის ხანაში მარქსისტები ვერ შექმნიან მიზანშეწონილს რევოლიუციონურს სისტე-მას. გარეშე ეროვნული ფაქტორების გამოყენებისა, მარქსისტები ვერას შემთხვევაში გვერდს ვერ აუ-ვლიან ეროვნულ კითხვას და ამიტომ ამ საკითხმა მეტად საპატიო ადგილი მოიპოვა მარქსისტების სისტემაში. ამგვარად ეროვნული ფაქტორი ერთი აუცილებელი პირობაა კაპიტალიზმის დასამხობათ და კომუნზმის გასამტკიცებლად როდესაც ასეთი სახით სდგას ამა თუ იმ პარტიისათვის ეროვნული საკითხი, მაშინ იგი (კითხვა) მხოლოდ ტაქტიკის კითხვა კი არ არის, არამედ უაღრესად პროგრა-მული.

ხან-დონი

(შემდეგი იქნება)

---

დებულებები წამოაყენა ამ საკითხის შესახებ. იგიც ლენინივით იმპერიალიზმში ხედავს ეკონომიურად აუცილებელ სტადიას, კაპიტალიზმის ახალ საფე-ხურს. მაგრამ მაშინ, როდესაც ლენინი აყენებს პროგრამას იმპერიალიზმის დაძლევას, განადგურე-ბის შესახებ, კუნოვი მისი (იმპერიალიზმის) განვი-თარების პროგრამას იძლევა. ლენინი იმპერიალიზ-მის განადგურების მიზნით ენერგიულად მოუ-წოდებს დაჩაგრულ ერებს ამბოხებისაკენ, კუნოვი ურჩილებას უქადაგებს ამ ერებს. რომ კაპიტალიზმმა დაუბრკოლებლივ ყვლიფოს ისინი. კუნოვის აზრით, რაკი იმპერიალიზმი აუცილებელი საფეხურია. მისი ძალით აღმოფხვარა შეუძლებელია. იგი უნდა მიუ-ვათ თავის ნებაზე, სანამ არ მოკვდება თავისით. მანამდე არა მარტო უაზრობაა იმპერიალიზმის და-მხობაზე ფიქრი, არამედ საზიანოა და უაზრო მისი განვითარების გზაზე რაიმე შემაფერხებელი ელე-მენტების აღმართვა, მაგ. დემოკრატიის ტრადი-ციულ პრინციპის ერთა თვითგამორკვევის უფლების შესახებ, მისი აზრით მხოლოდ მსხვილ ნაციებს აქვთ ამის უფლება, წვრილ სახელმწიფოებსა და ნაციებს ამის უფლება არ აქვთ, რადგან ეკონო-მიურ **განვითარებას მიყავს ისინი გაქრობამდე.** იხ. Энзис: „Война и германская с.—д—ня“ გვ. 70—1; 1916 წ.) აი ნიმუში სოციალ-იმპერია-ლიზმის გახრწნილებისა: **კაპიტალიზმის განვითა-რებისათვის აუცილებელია ერების ექსპლოატა-ცია და მას უფლება აქვს ამიტომ შეხჭამოს ისინი.**

ხან—დონი.

*) გამოვდიოდი რა ამ დებულებიდან, მე ვწერ-დი ჩემს შენიშვნებში: „**ეროვნული საკითხი თავის მხრით წარმოადგენს უაღრესად რევოლიუციონურ ფაქტორს (ფაქტს) და მისი რეალურად დაყენებით დღესვე, თანამედროვე პირობებში ნიადაგი ეცლე-ბა კაპიტალიზმის ბატონობასა და ირყევა მისი არსებობის საფუძვლები**.მაგ. გაღრმავება კოლონო-ნიალურ-ნაციონალური მოძრაობის და კოლონიებსა და იმპერიალისტურ მეტროპოლიის შორის გამწვავე-ბული მდგომარეობის შეჰქმნა გამოუვალ მდგომა-რეობაში აყენებს ამ სახელმწიფოებს და უადვილებს მეტროპოლიის პროლიტარიატს პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. კოლონიების სრულს უმოძრაობაში დატოვება და იქ მტკიცე საფუძვლე-ბის შეჰქმნა იმპერიალისტურ სახელმწიფოებისათ-ვის,—ამაგრებს მისავა მდგომარეობას მეტროპო-ლიაში, უძნელებს პროლეტარიატს ბრძოლასა და აძლიერებს რეაქციას“ („ტრ.“ № 470). ამხ. ამაღ-ლობები ამის შესახებ სწერს: „ამხ. სან—დონის წი-ნააღმდეგ რომ მივმართოთ მისივე „კონკრეტიული მაგალითების“ მეთოდი, იგი **იძულიბული გახდება** ხელე აიღოს მის აზრზედ, რომ (აქ ამაღლობელს მოყავს ჩემი წერილიდან **მხოლოდ** ზემოდ ხაზგას-მული სიტყვები) .ამ კონკრეტიული ციტატით თუ ვიხელმძღვანელებთ, თურმე მხოლოდ) ნაციონალუ-რი საკითხის „რეალურად“ დაყენება დღესვე ამსხვ-რევს კაპიტალიზმის ბატონობას (ხაზი ამაღლობე-ლისაა ს. დ.) უნდა აღინიშნოს, რომ ეს არც კონკ-რეტიული შინაარსის ციტატაა (ხან კონკრეტიული, ხან არა, როგრც დასჭირდება ჩემს ოპონენტს ს. დ.) იგი ზოგადი აზრია, მაგრამ ცხადია, ამხ. სან-დონმა ცუდათ გამოთქვა აზრი. (როგორც მკითხვე-ლი ხედავს, **თვით ამ-ღმა ცუდათ ამოწირა** ციტა-ტა და დებულებას კონკრეტიული განმარტება მოა-ცილა ს. დ.) ჩვენ კარგად ვიცით, (მადლობა ღმერთს!). რომ იგი კაპიტალიზმის ბატონობის დამ-სხვრევას არ ხედავს **მხოლოდ** ნაციონალურ საკით-ხის „რეალურად“ დაყენებაში. (ეს ჩემ წერილშიაც გარკვევით არის ნათქვამი: **ნაციონალური საკითხის** რეალურად დაყენება უადვილებს **პროლეტარიატს** პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას) წი-ნააღმდეგ შემთხვევაში მართლაც რომ **საკვირველი იქნებოდა, რომ კაპიტალიზმი არ არის დამსხვრეუბ-ლი,** რადგან თვით ამხ. სანდონი აღნიშნავს რომ კომინტერნი სწორად აყენებს ნაციონალურ საკითხს, (ხაზი ჩვენია ს. დ.). არ ვიცი რად დასჭირდა ამხ. ამაღლობელს ამდენი წილადობილე, ან რა მოსაზ-რებით უნდა ავიღო ხელი ზემოდ წამოყენებულ დე-ბულებმზე?—საკითხის „**რეალურად დაყენებაში**“ მე ვგულისხმობდი—რეალურად **სისრულეში მოყ-ვანას.** ეს ნათლად სჩანს ჩემ მიერ მოყვანილ კონ-კრეტიულ მაგალითიდან. კომინტერნს აქვს **მხოლოდ** პოლიტიკა და **ეს პოლიტიკა სისრულეში ჯერ ვერ მოუყვანიათ აღმოსავლეთის ხალხთა მიმართ.** ცხა-დია, კაპიტალიზმის დამსხვრევაზე მეტია ლაპარიკი. კომინტერნის პოლიტიკაზე მე ვსწერდი შემდეგს: „**ერების განთავისუფლებას მოითხოვს რევოლიუ-ციისა და მუშათა კლასის ინტერესები. სანამ იბა-ტონებს მეტოპოლიის ბურჟუაზია კოლონიებზე და შეძლება ექნება გამოზიდოს იქიდან საჭირო მასა-ლები, მანამ შეუძლებელი იქნება ფართო სოცია-ლური რევოლიუციის დაწყება,**-აი ლეიტ-მატივი მარქსის დებულებისა, რომელიც გამაგრებული-არის ირლანდიის ისტორიული მაგალითით. და განა ეს პოლიტიკა არ უდევს სარჩულად კომინტერნის თა-ნამედროვე პოლიტიკას აღმოსავლეთის ხალხთა მი-მართ, რომლის უდიდესი სტრატეგიული გეგმები მიმართულია ამ კოლონიალურ-ერების აჯანყებისა-კენ, რომ ამით ხელიდან გამოაცალონ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს ეკონომიური და პოლიტი-კური ბატონობის ყავარჯენი და გაუადვილონ ევ-როპის პროლეტარიატს ძალა-უფლების ხელში ჩაგ-დება?“ (ხაზი ახალია ს. დ.) როგორც ხედავთ ამხ. ამაღლობელო, მთელი თქვენი მსჯელობა ამ სა-კითხის გარშემო, ჩემი აზრის თქვენ მიერ ცუდათ გაგებაზე, ციტატის ცუდათ ამოწერაზედ და ცუდ განმარტებაზე არის აგებული. ვფიქრობ, თქვენ ამ განმარტებით უკვე დარწმუნდით, რომ სანდონი ხელს არ აიღებს თავის აზრზე, ხოლო თქვენ კი, დაგჭირდებათ უკან წაიღოთ თქვენი შენიშვ-ნები.

ხან დონი

ბის მორთვა, თვით ბავშების ნახატებითაც და ნაწერითაც არც ჩვენს სკოლებს აკლია.

ერთი სიტყვით, მოსკოვში ნამყოფებმა ვერა სთქვეს ის, რასაც მოველოდით, მაგრამ ეს სხვათა შორის ალვნიშნე.

მეორე მოედანი საბავშო ბაღების გარშემო აღძრულ კითხვების გასაქანებლად არის ახლად დაარსებული სკოლის ჰასაკამდე აღმზრდელი კურსები. ეს კურსები 2—3 თვიანია, რაც ჩემის ფიქრით მეტად ცოტაა. ჩვენში ასეთი კურსები შარშანაც იყო, სწორეთ ასეთივე ვადიანი და რამდენად ნაყოფიერი გამოდგა ამას ბაღებთან ახლო მდგომნი დაინახავენ. ამ **მოკლე ვადაში მსმენელმა უნდა გაიცნოს** თითქმის ყველა საბავშო 2, 4, და საერთოდ პედაგოგიკის და სხვათა ისტორია, როგორიცაა: ესტეტიური აღზრდა, საერთო პედაგოგიკის ისტორია, ბავშის ჰიგიენა, ბავშის პსიქოლოგია, თხრობა და საუბრობა ბაღებში და სხვა მრავალ საგანთა, რომელთაც პირდაპირი კავშირი არც კი აქვს ბაღებთან—ეს თეორიულად. ახლა პრაქტიკული —ძერწვა, ხატვა, ხელგარჯილობა, გალობა, ვარჯიშობა და სხვა.

აი, ამდენი საგნები ორ თვეში უნდა გაიაროს და შეითვისოს მსმენელმა და ისიც ისეთმა, რომელიც დაღალული დაქანცული მიდის საღამოთი კურსებზე.

მოსმენა კი შეიძლება, მაგრამ თვითეულ საგნის ღრმათ ჩაკვირვება, ანალიზის გაკეთება, მისი უნაკლოთ და ჭეშმარიტად შეთვისება ასეთ ვადაში ყოვლად შეუძლებელია და, თუ ამ კურსებიდან მსმენელები გამოვლენ მართლაც ცოდნით აღჭურვილნი ეს დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს დრო მარტო იმას არც კი ეყოფა რომ დაინტერესებულმა პიროვნებამ, მარტო კერძოთ სისტემები გაიცნოს, შეითვისოს და ჩასწვდეს მის ავკარგიანობას და გაგებას და დანარჩენ საგნებზე ხომ არც ითქმება მათი ამოწურვა 5—6 ლექციით—მე მგონია ყოვლად შეუძლებელია.

გარდა ამ „მოჩქარებისა" კურსებზე ერთი მომენტიც არის აღსანიშნავი. თუმცა მე წინასწარ ვაცხადებ, რომ ლექტორების თავიანთ საგნის ღრმა ცოდნაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ მაინც მგონია, რომ მათ ალღო ვერ აუღეს საბავშო ბაღების მოთხოვნილებას ცოდნის მიწოდბის მხრივ მსმენელთათვის, და თავიანთ საგანს ვერ შეეხნენ სწორედ იმ ფარგლებით და იმ გზით, როგორც ბაღები მოითხოვს.

რადგანაც ეს კურსები ჯერ არ დამთავრებულა, და ზოგი საგანი ჯერ არც კი დაწყებულა, ამჟამად მე შევეხები მხოლოდ იმ საგნებს, რომელნიც ლექტორებმა უკვე მოათავეს.

ამ რიცხვს ეკუთვნის ესთეტიური აღზრდა, ბუნება და თხრობა და საუბარი, რომელიც სამწუხარო შემთხვევის გამო მოთავდა.

პირველის შესახებ უნდა ითქვას, რომ ლექციები თავის და თავად მეტად შინაარსიანი იყო, ამავე დროს მხატვრულ ქართული ენით გადმოცემული, მაგრამ მე მგონია ლექტორმა ეს მეტად მნიშვნელოვანი მხარე საბავშო ბაღისთვის, ისე ვერ გააშუქა, როგორც ეს ამ უკანასკნელს ესაჭიროებოდა.

ვერც ერთი გზა, ვერც ერთი წყარო ვერ იქნა გამოძებნილი ლექტორის მიერ და ვერ მისცა ხელმძღვანელს ისეთი სადავე, რომელიც უნდა მიიმართებოდეს ამ ესთეტიურ აღზრდისაკენ. და ამიტომაც ამ ლექციებმა დასტოვეს ოდნავი სინათლე საგანსე, ხოლო ამითი ხელმძღვანელობისათვის კი არა სჩანს გზა.

რასაკვირველია, აქ სწორედ იყო გადმოცემული ის, რომ ბავშვი უნდა შეეჩვიოს ყოველ სილამაზეს, ყოველივე კარგს, ყოველივე მხატვრულს, თვალწარმტაცობას, ყურის დატკბობას, გონების გალვიძებას, მაგრამ რა საშუალებით, რა წყაროთი, —აი ეს დარჩა გაუშუქებელი.

ერთი გზა იყო ნაჩვენები: საბავშო თეატრი და ბავშვის მსახიობობა.

მაგრამ ეს ხომ შრომის სკოლას და ტეხნიკუმს შეეხება, სადაც ბავშვს წლოვანება, განვითარება და ენით გამოთქმაც უწყობს ხელს. და სწორედ აქ არის დაუსრულებლობა და საბავშვო ბაღებისაგან სრულიად დაშორება, რომ ლექტორმა ეს ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ შრომის სკოლის მასშტაბით განმარტა და უყურადღებოთ დასტოვა ის, რომ 3—5 წლის ბავშვის თეატრით დატკბობა და მისი მსახიობობა სასარგებლო არ იქნება ფიზიკურადაც და მგონია გონებრივათაც.

(შეიძლება ბ. ლექტორი ამ მოვლენას, ე. ი. 3 წ. ბავშვის გამსახიობებას დადებითად ეგებებოდეს, მაგრამ ეს ლექციებიდან ნათლად არა სჩანდა).

ერთი სიტყვით ლექტორს უნდა გამოეძებნა სულ სხვა ახალი რამე, სულ სხვა ახალი გზა, უფრო ადვილი და მისაწდომი 3—5 წლის ბავშვისთვის, და ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობისათვის, რათა მას ესთეტიური აღზრდა მართლაც ისე გეეტარებინა საბავშო ბაღებში, რომ არ მოექანცა ბავშვის გონება და ეს ერთგვარი მიმზიდველი და საყვარელიც გამხდარიყო ბავშვებისათვის.

მეორე საგანი, რომელიც უკვე დასრულდა გახლავთ ბუნება.

ამ საგანმა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი გააცნო, ისეთი, რომელიც, სიმართლით უნდა აღინიშნოს არც ერთ ხელმძღვანელს არც ფიქრად მოსვლია და არც თავი შეუწუხებია მისთვის ეს საკითხი კი ერთი უმთავრესთაგანი არის.

ბავშვი თავის ცნობის-მოყვარეობით ამ საგნიდან მეტად ხშირად მიჰმართავს ხოლმე მასწავლებლებს ამა თუ იმ კითხვით.

ყველა საბავშო ბაღს „აქვს" ბაღი, ეზო, „ჰყავს" ფრინველები, ცხოველები, თევზები და სხვა (თუმცა ამის თქმა მეტად გაბედულია რადგანაც, თვითეულ ბაღში ზემოთ ნათქვამის მსგავსი რამ მხოლოდ მეტად მცირეა. ზოგს სულ არა და მომეტებულს კი ბაჭიები და თევზები მოეპოებათ).

ბავშვი მათ გაფაციცებით უყურებს, ყველააკვირდება და მას ყოველთვის აინტერესებს ერთნაირობის გამოძებნა, ე. ი. ცხოველები ან ცხოველები და ადამიანები ერთმანეთს ჰგვანან? ან კიდევ? „ძაღლს კუდი რათა აქვს", ან ბაჭიას ასეთი ყურები და მრავალ სხვადასხვა გემოვნების კითხვები ებადება ბავშვს. მასწავლებელმა არ იცის რა უპასუხოს და ამიტომაც ხშირად (ბოდიშს კი ვიხდი) სცრუობს თავის პასუხში, ან უნდა აწყენინოს თავმომაბეზრებელ ბავშვს და უხმოთ გაეცალოს.

რათა? იმიტომ რომ მისი თავმოყვარეობა „ნებას არ აძლევს" ბავშის წინ დამცირდეს, რომ უვიცია ამ საგანში, და მეორეც სცრუობს იმიტომ, რომ ის მართლა უვიცია, უცოდინარის და წარმოდგენაც კი არა აქვს არც ჭიანჭველების, არც ფრინველების, არც ცხოველების და სხვა მწერების ცხოვრებაზე და მათ შინაგან მოწყობილობაზე.

აი, სწორედ ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იყო ეს ლექციები, როგორც იმითი რომ მასწავლებელი გაეცნო მართლაც ამ სულიერ არსებათა საინტერესო ცხოვრება-მოწყობილებას და მეორეც ის, რომ აქ გადაიჭრა საკითხი: სრულებითაც არ არის სირცხვილი ბავშვს ვუთხრათ: არ ვიცი, პირიქით ეს არის საუკეთესო გზა ბუნების დაკვირვების, როცა ბავშს ეტყვით: არ ვიცი, მოდი ერთად დაუკვირდეთ, ერთად ვავინახოთ და ერთად გავიგოთ.

გარდა ამისა მეტად ზედმიწევნით და სრულის სისწორით იყო აღნიშნული, რომ ბავშს ბუნება არ უნდა აუხსნათ და მასში მცხოვრებ მწერებზე და ცხოველებზე არ უნდა ავლაპარაკდეთ მრავალ სიტყვაოჩით. მაგ.: ჭიანჭველას აქვს თვალი, ფეხი, ტანი ისევე, როგორც ჩვენ და სხვა, რადგანაც ამით ბავშვს საშინლად მოეწყინება და შეიძლება ვერაფერი განსხვავებაც ვერა ნახოს, როგორც ცხოველ-მწერთა შორის, ისე ადამიანებსა და მათ შორის. იმ დასკვნამდე რომ ჭიანჭველას თვალი და ფეხი აქვს, თვითონ ბავშვი უნდა მოვიდეს თავისი დაკვირვებით.

გაიყვანთ გაზაფხულზე ბაღში და თვალი ადევნებინებთ ჭიანჭველაზე.

ბავშვები ხედავენ, რომ ჭიანჭველები დადიან, მერმე ბავშვს ეტყვით: აბა თითი გადაუღობე წინ ჭიანჭველას! ბავში დაინახავს, რომ ჭიანჭველა თითზე არ ავიდა, არამედ გზა აუქცია; მაშასადამე ის თვალებ ხუჭელა არ დადიოდა, ბრმა არ ყოფილა, არამედ გზაში დაბრკოლება დაინახა და მას მოსცილდა.

ამნაირად თვიდ ბავშვი დაინახავს ყველაფერს და ეს უფრო სამუდამოთ ჩარჩება მის მეხსიერებაში.

აი, ამიტომაც ამ ბუნებამ სულ სხვა სიხალისე, სულ სხვა ამუშავება მისცა მსმენელის აზროვნებას. მხოლოდ სამწუხაროა, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან საგანს მეტად მცირე დრო ჰქონდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 15 ლექციაში ის რაც საბავშო ბაღისთვის საჭირო იყო, სრულიად ამოიწურა და შემდეგ ეს თავათ მასწავლებლის მუშაობაზეა დამოკიდებული, როგორ გაარღმავებს და გამოიყენებს ამ მასალას.

**ანლანი.**

(დასასრული იქნება).

## ხელოვნება

**მუსიკალური სეზონის მიმოხილვა და პერსპექტივები.**

ვახდენ რა მუსიკალურ მიმოხილვას გასულ ზამთრის და გაზაფხულის სეზონებისა, და რეტროსპექტიულად მიმოვავლებ რა თვალს სახელმწიფო ოპერის მოღვაწეობას არ შემიძლია არ შევჩერდე ამ საკითხზე კმაყოფილების გრძნობით, ვინაიდან არსებულ ვითარებაში, როდესაც საერთოდ ხელოვნება ნაკლებ ყურადღებას იქცევს, ტფილისში არა თუ იგი დავიწყებული ის არამედ ცოტად თუ ბევრად იდგა თავის ამოცანის სიმაღლეზე. საოპერო მოღვაწეობა მოფიქრებული იყო ფართოდ. როგორც სჩანს რესპუბლიკის მთავრობა არ ზოგავს მატერიალურ საშვალებას ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარება—გაფურჩქვნისათვის, საოპერო დასის საგრძნობი ნაწილი განახლებულ იქმნა, მოწვეულ იქმნენ სატახტო ქალაქის კარგი ძალები და მთელ სეზონში სახელმწიფო ოპერის მუშაობა მიმდინარეობდა შეუწყვეტლივ და ინტენსიურად. რეპერტუარი თუ არ განირჩეოდა სიახლით, ყოველ შემთხვევაში ის იყო მრავალფეროვანი და ეჭირა სერიოზული მიმართულება. საბედნიეროდ არ იყო ოპერეტკები საოპერო სეზონში—ეს მხსნელი ლუზა საოპერო ონტრეპრიზისა შესაძლებელ წაგებისაგან. მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი ხარჯები დახურულ იქმნა სავსებით თავის დროზე მთავრობის ფართო დახმარებით. ამას გარდა აღსრულდა დიდი ხნის ოცნება ხელოვნების სერიოზულ მიმართულების მოყვარულთა, სახელდობრ ორკესტრი და გუნდი მიწვეულია მთელი წლის ვადით და არა მარტო სეზონისათვის, ხელოვნების ამ მუშაკებს კარგათ უზრუნველყოფილთ მიეცემათ საშვალება, რომ იმუშაონ ნაყოფიერად. მიწვეულნი არიან მთელი წლის ვადით აგრეთვე ზოგიერთი მსახიობები. ყველა ეს თავდება ზაფხულში სიმფონიური კონცერტების გამართვისა და ახლო მომავალში, სახელდობრ პირველი ივნისიდან გაიმართება მთელი რიგი სიმფონიური კონცერტებისა.

ორკესტრი გადიდებულია, საქმე დაყენებულია სერიოზულად. ღრმა სიამოვნების გრძნობით უნდა ითქვას, რომ ტფილისელებმა გასულ სეზონში მოისმინენ რამდეენიმე საუკეთესო ნიმუშები რუსული საოპერო მუსიკისა დადგმულ იქმნენ: „თავადი იგორი", „სნეგუროჩკა", „მეფის სარძლო", „ალი" და „ბორის გოდუნოვი". დიდის წარმატებით იდგმებოდა ნაციონალური ქართული ოპერა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი" რომელიც მეასე ჯერ იქმნა დადგმული ერთ და იმავე თეატრში ოთხი წლის განმავლობაში. ეს ჯერ არ მომხდარი მოვლენაა საოპერო საქმის მატიანეში და ეს სასიხარულო მოვლენა აღნიშნულ იქმნა თავის დროზე, როგორც პრესის, ისე საზოგადოების მიერ. უდიდესი მოვლენა იყო ვაგნერის გენიალური შემოქმედების „ლოენგრინის" დადგმა ჩვენს სცენაზე. სეზონში დიდის ზეიმით იქმნა გადახდილი ნიჭიერი საოპერო სცენის ბულბულის ვანო პეტრეს ძე სარაჯიშვილის ოცი წლის სამოღვაწეო იუბილე. ესეც ნათელი ფურცელია გასული სეზონის.

ოქტომბერში განახლდება საოპერო მოღვაწეობა და ახლო მომავალში მიდის რუსეთის დიდ ქალაქებში საოპერო დასის შესადგენად. აუცილებელია მოწვევა დრამატიული სოპრანოს, დრამატიული ტენორის და ბარიტონის რასაკვირველია აგრეთვე კოლორატურული სოპრანოს. სასურველია ბალეტის ვანახლება და შევსება ახალი ძალებით, განსაკუთრებით ბალეტის საპასუხისმგებლო პარტიების შემსრულებელის, საჭიროა სარეჟისორო ნაწილის გადაცემა გამოცდილ და ხელოვნების კარგად მცოდნე პირისათვის. უნდა დავივიწყოთ, რომ გურესი, რომელსაც ანდობენ ზოგიერთ ოპერების დადგმას შესძლებს იყოს რეჟისორი—ეს შემცდარი აზრია. უნდა მოწვეულ იქნეს ან მარჯანიშვილი, ან სხვა ვინმე დიდი ხელოვანი. რასაკვირველია სასურველია განახლება ზოგიერთ სცენარიუსების.

პ. ბებუთოვი.

---

**სარეჟისორო კურსები**

ხელოვნების მუშაკთა კავშირთან იხსნება სარეჟისორო კურსები ორი თვის ვადით. კურსების მიზანია შედგენა რეჟისორთა კადრის პროვინციის თეატრებისათვის. კურსებზე ღებულობენ მხოლოთ მსახიობებს და სცენის მოყვარეთ სათანადო სტაჟით კურსების ხელმძღვანელათ მოწვეულია ჯერ ჯერობით შალვა დადიანი, მოწვეულ იქნებიან გამოცდილი ლექტორები. რაბისმა უკვე დაამტკიცა კურსების პროექტი და პროგრამა.

---

**მთავარ სამხატვრო კომიტეტში,**

ამ დღეებში შეუდგებიან სახალხო განათლე-ბის კომისარიატთან არსებულ საქართველოს მთავარ სამხატვრო—სახელოსნო კომიტეტის რეორგანიზაციას, განზრახულია კომიტეტის ფუნქციებ[ი] გააფართოვონ და შექმნან ხელოვნების ორგანიზაციის მტკიცე სისტემა.

---

**ჭიათურაში.**

კვირას, 17 ივნისს ჭიათურაში გაიმართ[ება] შალვა დადიანის იუბილე. წარმოდგენილი იქნებ[ა] მისივე პიესა „გუშინდელნი" ადგილობრივ ძალებ[ით] და იუბილიარის მონაწილეობით.

---

**ვალერიან გუნია**—ტფილისში ჩამოვიდა და[მ]სახურებული მსახიობი ქართულ სცენისა ვალერ[იან] გუნია, რომლის მოწვევა აკადემიურ დასში განზრა-ხულია მომავალ სეზონისათვის, მან დაასრულა ახა-ლი ინსცენიროვკა დანიელ ჭონქაძის მოთხრობ[ის] „სურამის ციხე".

ინსცენიროვკა „სურამის ციხე" რომელიც მი-დიოდა 11 ივნისს რუსთველის თეატრში ნიკო გვა-რაძის საბენეფისოთ არ ეკუთვნის გუნიას კა-ლამს.

---

**ქართველ მსახიობთა ყრილობა.**

ორშაბათს ივნისის 11-ს ტფილისში გაიხს[ნა] ქართველ მსახიობთა ყრილობა. რომელსაც და[ეს]-წრენ როგორც ადგალობრივად მყოფნი, ისე პრო-ვინციიდან საგანგებოდ ჩამოსული მსახიობნი. ყრი-ლობამ გასტანა ორ დღეს. მსახიობთა კავშირ[ის] საბჭოს სახელით მოხსენება გააკეთა ალ. იმედ[ა]-შვილმა საბჭოს მოქმედებაზე და საერთოდ ქარ-თულ თეატრის შესახებ. კავშირის წესდებაში ყრი-ლობამ შეიტანა ბევრი ცვლილება, რომლითაც [...] და იხელმძღვანელოს ახალმა გამგეობამ სხვა[თა] შორის დაევალა საბჭოს, რომ სასწრაფოდ მიიღ[ოს] ზომები ჩვენი სცენის მოღვაწეთა საფლავების მ[ო]-სავლელად ამასთანავე ყრილობამ ერთხმად მიიღ[ო] წინადადება სათეატრო გაზეთის გამოცემის საჭი-როების შესახებ, რომელიც უნდა გამოვიდეს ს[ულ] ახლო მომავალში. დასასრულ არჩეულ იქმნა საბ[ჭო] შემდეგის შემადგენლობით: აკ. ფაღავა, (თავმჯდ[ო]-მარე) ს. რომანიშვილი—დგებუაძისა. აკ. ვასაძე, ჯიქია, და აკ. ხორავა, სარევიზიო კომისიაში: ახვლედიანი, ვ, არაბიძე, ალ. მგალობლიშვილი.

---

**სახალხო სახლი.** ხუთშაბათს, 14 ივნისს [...] ამხანაგო მომღერალთა გუნდი, მიხ. კავსაძის ლ[ო]-ტბარობით, ფონდის გასაძლიერებლათ მართ[ავს] დიდ სახალხო კონცერტს 3 განყოფილებათ. შ[ეს]-რულებული იქნება ორიგინალური ძველი სიმღერ[ე]-ბი საქართველოს ყველა კუთხისა და აგრეთვე ს[იმღერე]-ნები გლეხურ ცხოვრებიდან.

---

## წერილები რედაქციის მიმართ

**პატივცემულო რედაქტორო!**

13 ივნისის „ტრიბუნა"-ს № 493 ჩემი სტუდიის გამოფენის შესახებ წერილში ნათქვამია: „სტუდიას აქნობამდე არსაიდან დახმარება არ მიუღია" ეს სიმართლეს არ შეეფერება. დახმარებას მიწევ-და განათლების სახალხო კომისარიატი საქმის ფაქტიურად განვითარების მიხედვით პირველად თვეში 3 მილიონით შემდეგ 7 მილიონით და პირველ მარტში 50 მილიონი დამინიშნა. მხოლოდ ბონების ფასის დაცემის მიხედვით განათლების კომისარმა პირველ აპრილიდან კომისარიატის ხარჯთ აღრიცხვაში, ჩემი სტუდიისათვის ყოველთვიური დახმარება **100 მილიონი შეიტანა.**

სიმართლე მოითხოვს ამ გარემოების აღნი[შ]-ნას და დიდი მადლობის მეტიც მე აღარაფერი მე[თ]-ქმის. მაგრამ მე მაინც იძულებული ვარ აღვნიშ[ნო] რომ დღეს, შედარებით პირველი მარტისა, რო[მ]-საც (სუბსიდია) ყოველ თვიური დახმარება 40 [მი]-ლიონ, 80 ოქროს მანეთის დარი მქონდა და ბ[ინა] თითქმის უფასოდ (250 არშინი ღირდა 250000 [მა]-ნეთად ეხლა 50 მილიონად) ჩემი სტუდიის გარე[მო]-ება ეკონომიურის მხრით გაცილებით გაუარესდ[ა].

**მოსე თოიძე**

1923 წ. 13 ივნისი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ლიტერატურული
ტრიბუნა

პოეზია
მხატვრობა
ქანდაკება
ესთეტიკა
კრიტიკა

ყოველ-კვირეული სურათებიანი დამატება გაზ. „ტრიბუნასი".
გამოვა მოკლე დროში. მასალები უნდა გამოიგზავნოს „ტრიბუნის" მისამართით.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 360 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-სი, კრუზენშტეინის ქუჩ. № 4